საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 22 მარტი, 2017 წლის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/32

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში „ ემერიტუსის“ წოდების მინიჭების წესში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში „ემერიტუსის“ წოდების მინიჭების წესის მე-9 მუხლი ამოღებული იქნას მთლიანად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ პირს, ვისაც მიენიჭება ემერიტუსის წოდება, უნივერსიტეტი ანაზღაურების სახით განუსაზღვრავს 600 (ექვსასი) ლარს, დარიცხვის გათვალისწინებით. მიუხედავად წოდების მინიჭებამდე შტატით განსაზღვრული შრომის ანაზღაურებისა და მინიჭების შემდეგ სახელმწიფო პენსიის ოდენობისა.“

2. ცვლილებები ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივნისიდან.

3. დადგენილება ცვლილებების შესახებ დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია